

საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №41, 30 დეკემბერი 2004 წელი) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 25-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 25-ე პრიმა მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25“. მცირე საწარმო

მცირე საწარმოდ ითვლება ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის რეგისტრირებული ან არ არის ვალდებული გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად“.

2. მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ზ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ზ. ფიქსირებული გადასახადი“.

3. მე-12 მუხლს მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს 14 პრიმა პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„14“. ფიქსირებული გადასახადი – გადასახადი გადასახადის გადამხდელის მიერ წინა საგადასახადო წელს გადახდილი გადასახადის ოდენობით“.

4. 280-ე პრიმა მუხლს 51-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს 52-ე, 53-ე და 54-ე პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„52. ამ კოდექსის 25-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული საწარმოები, აგრეთვე ინდემწარმეები, რომელთა დასაბეგრი ბრუნვა საგადასახადო წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს, 2012 წლის 1 იანვრამდე იხდიან მხოლოდ ფიქსირებულ გადასახადს.

53. ამ კოდექსის 25-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული საწარმოები, აგრეთვე ინდემწარმეები, რომელთა დასაბეგრი ბრუნვა საგადასახადო წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს თავისუფლდებიან საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.

54. ამ კოდექსის 25-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებულ საწარმოებს, აგრეთვე ინდემწარმეებს, რომელთა დასაბეგრი ბრუნვა საგადასახადო წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს უფლება აქვთ უარი თქვან ფიქსირებულ გადასახადზე. ასეთ შემთხვევაში ისინი არ თავისუფლდებიან საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან და იბეგრებიან ამ კოდექსით დადგენილი წესით. უარი ფიქსირებული გადასახადის გადახდაზე საგადასახადო ორგანოს უნდა წარედგინოს საგადასახადო წლის დასაწყისში“.

5. 281-ე მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კოდექსის 97^ე და 143-ე მუხლების მოთხოვნები არ ვრცელდება ამ კოდექსის 25-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებულ საწარმოებზე, აგრეთვე ინდმეწარმეებზე, რომელთა დასაბეგრი ბრუნვა საგადასახადო წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი